

მეაჭრე

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გასული.

2 მარტს

გამოიცემა

№ 9

კვირამი

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სული (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მო-
წება არ მიცდება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს დღეს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში
„თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მ. ჭილაძეების წიგნის ძალაშია. გარეშე მისაგზავნისათვის ღირსი:
Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

გიგლიოზრავიული შენიშვნა *

მე, თუ ჩვენ? შენ თუ თქვენ?

შენ, შენ! შენ? თუ მე?

მე, თუ შენ?

მსწავლელ დაგვადო მომტირალა საოკლეშს!

ერთი ძველი მუხამაზის გეშა.

მგვრამ გასაოცარი ლაგის პატრონი, ჩვენმიერ
ნიშანში ამოღებულის წერილებისა, ცოტა ქვეით თი-
თონე აღვიარებს: ჩვენ, ე. ი. ქართული საზოგადოე-
ბა იქამდი მისულია, რომ მას აღარაფერი თავის
საკუთარი საქმე აღარა აქვს, რომ ღირდეს ქართულ-
მა გაზეთმა ყურადღება მიაქციოსო! (ვაშა, ვაშა, ჩვენს
გმირებს!) „მთელს აგებულობას, სხივის ახალი დროის
იერემია, თითქოს სიღამბლე და(ჰ)მართნიაო, ვართ
და ვსკამთ მხოლოდ ესეც იმ დრომდე, ვიდრე სა-
ცოხნელი არ გამოგველევა და ხელიდამ არ გამოგ-
ვეტლება ჩვენის უთაურობით. (გული ნუ გაგტყნით,

ჩემო ბატონო, ღმერთი მოწყალეა! თქვენ სიცოცხ-
ლე შეჰვედრეთ ღმერთსა, თორემ საცოხნელს რო-
გორ გამოგილევთ?) «შური, ერთმანეთის მტრობა, გა-
ნაგრძობს ავტორი, გაუტანლობა, ბეზლობა, ენა
ტანობა, ერთმანეთის ლანძღვა და თრევა, აღამი-
ნის ღირსების უარ ყოფა (კოკლობა, კუზინობა,
უსინათლობა, ხველა, ყიფანა ხველა, წითელა, ქუნთ-
რუშა და სხვა ათასი ვარამი და ღვთის რისხვა, დაუ-
მატებთ ჩვენის მხრით)—ამისთანა თვისების პატრონებს
რა საქმე უნდა გვექონდეს?.. მაშასადამე უბრალო სალი
ქუთა გვეუბნება, რომ იმ ორიოდე პირს, რომელთაც კი-
დეე შერჩენიათ ნათელი გონება და ფიზიკლი გრძობა,
უნდა ჩქარა გაცეალენ ამ ყველა საძაგლობით და
მთლად მოწამლულს საზოგადოებას, რომ თითონაც
არ მოიშხამენ. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობ-
სო“, ნათქვამია. მეტად ახირებული, დონკიხოტური
ლოგიკა და თავ-განწირულობა უნდა ჰქონდეს კაცსა,
რომ „არამც თუ დანახვა, წარმოდგენაც ეზიზღებო-
დეს“ და ამისთანა წამხდარი საზოგადოების წინამძღო-
ლობას და სამსახურს კი კისრულობდეს კაც! რო-
გორც ერიო, ისეთი მღვდელიო, სამართლიანად არის
ნათქვამი. რომელიმე საზოგადოებისა და მისს წარ-
მომადგენელთა შორის ყოველთვის მტკიცე კავშირი
და დამოკიდებულება არსებობს. ეს ისრეთი საანბა-
ნო ქეშმარიტებაა, რომ მგონია თვით „ივერიის“
ბრძენთა-ბრძენიც ვერ გაგვიბედვენ შულს და კამა-
თობას. მაშ თუ საზოგადოება აქამდე წამხდარი და

*) იხილე «თეატრი» № 8.

გახრწნილია, თვით მისი უპირველესი წარმომადგენელი, რომელთაც „ივერიაში“ თავი მოუყრიათ, რაღა შეილება უნდა იყენენ? სჩანს რომ ეს ვაჟბატონები მხოლოდ იმიტომ იღვწიან და მოქმედობენ საზოგადო ასპარეზზედ, რომ „საცოხნელი“ არ გამოეყოლიათ. ჩვენ ამისთანა საზოგადო მოღვაწეობა არ გვესმის და თვით წარმოდგენაც კი გვეზიზღება. ყველაფერს წარმოვიდგენდით და იმას კი ვერა, რომ ყველაფერში ფრთხილი და წინ დახედული ილ. ჭავჭავაძე თავის თავს საკუთარის ხელით ესრე უწყალოდ გამოლტავდა საჯაროდ. ის მწერალი, რომელიც ღრმა ფილოსოფიის და საზოგადო პრინციპების სახელით წვრილმალ ანგარიშებს მისდევს და ჯამბაზობს, ყოველთვის ამ სასაცილო მდგომარეობაში ჩაეარდება. ის არ შეიძლება არ ემსგავსოს იმ მონას, *которая сама себя бьетъ, коли не чисто жнетъ!*

მეკობრობა ყ. ელა სახელმწიფოთა კანონდებულებით აღკრძალულია, მაგრამ ფათერაკის თავიდან ასაცილებლად მეკობარნი თავიანთ ხომალდზედ იმ ქვეყნის ალაშს აფრიალებენ ხოლმე, რომელის გემებსაც სრული უფლება აქვთ იმ ზღვაზედ სიარულით. ბ. ილ. ჭავჭავაძემ ამ შემთხვევაში ლიტერატურული მეკობრობა დაამტკიცა: ე. ი. რაღაც გაცვეთილი ფილოსოფიის ალმით ხელში, ვიღაცა კერძო პიროვნების საბრძოლველად გამოვიდა და ეს არსს მიზეზი, რომ ლოგიკამაც უღალატა და უბრალო საღმა ქუუამაც.

თავი და თავი საგანი „ივერიის“ წერილებისა არის იმ მიზეზის აღსნა, თუ რისთვის არ შეუძლიან ერთად ერთს ქართულს გაზეთს შინაურს საქმეებზედ ბაასი. აუღ იყო, თუ კარგად ამ კითხვაზედ პასუხი მისცა ავტორმა გაზეთის მე 15 №-ში და იქვე უნდა გაეთავებინა და გათავებულიც არის. არავითარი ლოგიკური კავშირი ამ საგანთან არა აქვს შემდეგ სამს მოწინავე წერილში აბლაბუდასავით გაბმულს აქიბაქიას „შინაზედ“ „შინაურზედ“, „მე“ და „ჩვენზედ“, მაგრამ მექოთნე რის მექოთნეა, თუ საითაც უნდა, იქით ყურს არ გამაბაღეს. ან კი რა საჭიროა ბევრი თავაზიანობა და ცერემონია ყოველად მომთმენ ქართულ მკითხველთან. ჭავჭავაძე სხვას უკითხავს გრძელ ლექციებს ლიტერატურულს ზრდილობაზედ, თორემ თითონ ყველაფერი ეპატება, პირ-და-პირ კისერში ხელს ჰკიდებს და შეათრევეს საბრალო მკითხველს ერთს საშინელს ჯაგ-ნარიან წერილმანში, რაღაც „მე“ და „ჩვენს“ სამფლობელოში. გააცებულნი მკითხველი ეკითხება: „სად ერეკლე, სად... კოდელი ნინოეო?— მაგრამ რა გზა აქვს... მასაკვირველია რა კოშკებს,


რომელ ცხრა თავიან დევებს ეომება და ესე მკაცრად ზედ აღეწს ავტორი თავის ფარ-ხმალს და შუბის ტარებს. ახალი დონკიხოტის სასაცილო მდგომარეობა იმაშია რომ ნამდილად არც ეს კოშკები, არც ეს დევები არსად მოიპოვებინან და სრულს ნაყოფს შეადგენენ ავტორის შერყეული და აუდამყოფი ფანტაზიისას. ავტორს რომ კვალში ჩაუდგეთ და ფეხ-და-ფეხ მიეყვით, თითქმის ყველა ნაბიჯზედ დავიჭერთ აზრის სიყალბეში, ლოგიკის უსუსურობაში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და მასავით ლობე-ყურეს მოღება-არც არაფერს ლიტერატურულს სახელს მოგვიხვექს. ბ. ილ. ჭავჭავაძეს, რომ დაუფეროთ, მთელი ქართული ლიტერატურა საიდანღაც მოვარდნილს ბაშბიუჭუყებს დაუჭერიათ ხელში, რომელთაც არაფერი არა სწამთ, საზოგადო და კერძო ვერ გაუჩრევათ, თითქმის ჩაჩაღებივით სახლში უცვივიან და მყუდროობას უმფოთებენ დარბაისელს ოჯახის შეილებს. «საგანი უნდა? — ამბობს ავტორი ამისთანა ლიტერატორებზედ, (იხ. „ივერიის“ მე 19 №-ში მოწ. წერილი) მეზობელი იქ არა ჰყავს! თუ როგორმე მეზობელი თვალში ვერ მოსდის და მიზეზიც ვერა მოუნახა-რა, თვითონ მაინც ხელ-და-ხელ შემხანხლავს ერთს რასმეს სამარცხვინო ამბავს თავის მეზობელსა (მგონია, მკოხტულს და სჯობია) და სხ. გარდა ამისა, ეხლანდელი ლიტერატურული ზნეობა იქამდე დაცემულია, რომ თურმე ჯამუშივით ოჯახებში იზარებიან, ბოძს უკან ავტუშებიან ხოლმე, აცა იქნება რამე მიზეზი მომცეს, სამარცხვინო ბოძზედ გაუაკრა და თავზედ ლაფი დაეასხაო! და სხ. აი ამისთანა ურცხვი და მართლა უმართებულო ცილის წამების შემხანხლავი ჰპუდავს კიდევ რაღაც ლიტერატურულ ზრდილობიანობაზედ ბაას! თუ „კნიაზ ილიას“ ლიტერატორებად მიანჩნია ყველა ის პიროვნება ლიტერატორების შემხანხლავნი, რომლებს ნაჯღაბებიც ყოველ დღე მოსდის, ან კიდევ ზოგიერთნი თვისი მუდმივი თანამშრომელნი, რომელნიც მის რედაქციაში გოგოლის ჩინონიკებივით გამოკიმულან, მაშინ შეიძლება ცოტა რამ სიმართლე მოიპოვებოდეს მის სიტყვებში, თორემ, ვისაც ჩვენში ლიტერატორის სახელი ეთქმის, მათ შესახებ ეს, კიდევ ვიმეორებ, ურცხვი ცილის წამებაა. ლიტერატურაში მოწინააღმდეგესთან ამისთანა იარაღით ბრძოლა შეეფერება რომელიმე ზაქარია ჭიჭინაძეს, ანუ მის პრინციპალს ანტ. შურცელაძეს და არა ილია ჭავჭავაძეს. რა უფლებით უნდა თხოულობდეს მოწინააღმდეგისაგან თავაზიანობას და ზრდილობიან მოპყრობას ის, ვინცა კადრულობს ამისთანა ცილის წამებას და საზოგადოების წასისინებას თავის მეტოქეზედ? ნამეტნავად უკანასკნელს წერილში (იხ. მე 19

მეში) თავს ევედრე იმაგრებს ფილოსოფოსის მანტიაში გახვეული ავტორი, თან-და თან წიწმატდება სი-დარბაისლეს ჰკარავს და თქვენ წინა სდგას საძაგე-ლი ღვარძლით და გესლით საცხე ფარისეველი, რომელიც ორის ხელით გულში იბარტყუნებს, თვალებს ეშმაკურად ატრიალებს და მგზობელზედ უჩვენებს მაყურებელს: მე კი არა, აი ეგ არის ქვეყნის დამქცევი, «*машеникъ пера и разбойникъ печати!*». ჰკა მავასო!.. აი თურმე რა ყოფილა სარჩული, ბოლოს რა გამოიწურა შავი ბუნდითი გარემოცული ფილოსოფიური მსჯელობიდან „მე“ და „ჩვენზედ“; ოქვე დალოცვილო, თუ კი ხბოს თავის მეტს არაფერსა სთხოულობდით რაზედ შეაწუხებთ ამოდენად ან თქვენი თავი, ან ჩვენ? ამდენი ქვეაქუხილით და გრგვინვით შემინებულმა მკითხველმა, მეოთხე დღეს ძლიეს გაიგო, რომ გადახალისებულს «ივერიას» ვი-ლაცა მეტოქენი ჰყოლია, რომლებსაც ცოტა არ იყოს შიშიცა ჰქონია გულში, პირ-და-პირ ეგბრძოლე-ბა ვერ გაუბედნია და მათ, ესე იგი მკითხველებსა, სთხოვს „წამალი რამ უპოვონ მათი ძირიანად აღ-მოფხერისათვის“. რა წამალი უნდა იყოს ეს, დარბაი-სელს «ივერიას» თვის მკითხველის მიხედვარაზედ მიუგ-ლია. ოქვენ იითონ ამორჩიეთ, — რა უფრო საძაგლობა და უპატიოსნობაა ლიტერატურაში: რომელიმე ვაჟ-ბა-ტონის მკაცრად გაშოლტვა, როდესაც მან ამ გვარი მოაყრობა დაიმსახურა, თუ ამ გაშოლტვილისმიერ ამ ნაირი წასისინება საზოგადოებისა თავის მოწინააღმ-დეგეზედ?.. მაგრამ ამითი არა თავდება „ივერიის“ არე-დარეული მსჯელობა და დომხალივით არეული ლოგიკა. პეტროის ფიქრით, მისი აღმაშფოთებელი ლიტერატორები, არიან ვილაც ბიჭბუჭა მჯღაბნელები, რომელთაც ან-ბანი ძლიეს დაუძლევიათ და სხვა-ში არსად არიან გამოსადეგნი, აულიათ თავი და ლი-ტერატორებენ“. სხადია, რომ აღმშფოთებულ გულის ვნებათ ტვინი მთლად დაუბნელებია, თორემ იმისთა-ნა ნიჭიერს და დახელოვნებულ მწერალს, ვის კალამ-საც ჩვენი საკამათო წერილები ეკუთვნის, როგორ არ უნდა ესმოდეს რასა სწერს და რა დასკვნა გამო-დის იმისი მსჯელობიდან? თუ ქართული ლიტერა-ტურა ისეთი ლაჩარი და დაძაბუნებული რამ არის, რომ ანბანის მცოდნე კანცელარიაშიაც არ ვარგა მწერლად და ლიტერატორობს კი, მაშ თქვენ რაღა. უნდა ბრძანდებოდეთ ამ ლიტერატურის მეთაურო? ან თუ ისინი ისეთს მიკროსკოპიულს ძალას წარმოად-გენენ, რომ მათ გონებით სალაროში ანბანის მეტი სხვა არაფერი იარალი არ მოიპოვება, მაშ სასაცილო არ არის თქვენისთანა ძლიერის ნიჭის და ცოდნის პატრონისთვის მათთან ბრძოლა და კრუპის ზარბაზ-

ნებით ორ ფუთიანი ყუმბარების ყრა კოლოთა ბანაკ-ში? ჩვენ ასრე ვფიქრობთ, რომ უნიკობას და უმეც-რებას ლიტერატურაში თავის დასაკლავი დანა თან დააქვს და მათ წინააღმდეგ სიმავრების შენება და ზარბაზნებით ომი იმასა ჰგავს, რომ ერთი მხლელი ვაჟ-კაცი საბრალო ანწლებს ხმლით დაერია. თუ მაინც-და-მაინც ბზუილით თავი მოგვაძაგვს, იმათთვის ერთი ცხარე მათრახი სრულიად საკმაო იქნება. რაც უნდა მედილურად იყოყოჩოთ, მაინც ეველაუზრდამ სჩანს, რომ თქვენი მოწინააღმდეგენი ნამდვილ ლი-ტერატურულს ძალას წარმოადგენენ და ძლიანაც შეუწუხებინხართ. მაშ თუ ასრეა, სჯობია, რომ გა-დაკიბ-გადმოკიბით ლაპარაკს თავი დაანებოთ და იმ წესით და იარალით ებრძოლოთ, რაც პატიოსან ლი-ტერატურაში მიღებულია. თორემ მუდამ წუწუნით თავის შეგბრალება მკითხველ საზოგადოებასთან მათი ბეზლობა, მათ წინააღმდეგ პირველის წასისინე-ბა, დამის გუშაგვივით კვილი: *Caveant consules!*— აი ესენი არიან ჩვენი მოლაღატენი და წამწყმენდელ-ნიო, —სწორედ რომ ლაჩარი და ქალაჩუნა კაცის ხელობაა.

დავით სოსლანი.

(დასასრული)



P. S. ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან, რომ ჩემი პირველი წერილი ისე კორექტურული შეცდომებით საცხე გამოვიდა: ზოგიერთი სიტყვა ისეა შეცვლილი, რომ მთლად წინადადების აზრი იცვლება. მაგ. სა-დაც უნდა იყოს „შეცხაგებინათ“, იქ არის „შევი-გებინათ“. „ბავილამს“ მაგიერ „მავრამ“ არის და სხ. თქვენზედ მომეტებულად მე ვიჯავრე, მაგრამ ამწყობ-მა და კორექტორმა ეს მიპასუხეს: „არა უშავს რა ყველიერიაო! ამისთანა საბუთის წინაშე რაღა გვე-თქმის?..“

ავტორი.

* *

(მუშაღვენი ჩ ს. ა - ს).

ადგავებუღესა შავს ზღვასა კვერთხს დაგვრავ და შე-
კახკრებ,
ერთის სქმდკით უმრავ კლდეს თვისს ადგელსა მოკა-
შორებს;

სკრის გრგვინვას ჩემის სმით უცბად სმას ჩაუწყვეტინებ, მაგრამ ჩემს გულსა მოყვარულს სატრფოს ვერ დავთმობინებ!

—
მაწია კრავი მთაზედა ცხრა ცაღსა ბარგსა აიტანს, ერთი მიწოდით ჩხვილი ყრმა ცისის კედელსა გაიტანს, გაჭირების დროს მდინარით ცხრაღიდა წყალსა მაიტანს, მაგრამ ეს გული სატრფოს საშორეს კი ვერ აიტანს!

ჟაკ-ვინტრას.

ვაი მართლის მოქმელსა.

მოთხრობა სთქუელსა

ნათარგმნი

«ოხ! მს ქვეყანა სიცრუით და ფარისევლობით სავსეა; ვაი! ძვენის ორ პირულ და მატყუარ სიტყვებს! ვაი! ძვენის დაპირებათა! სამოთხე იქნებოდა ამაოება, რომ ამ ბიწირებათა ფესვები არ გაედგა».

ასე ამბობდა ახალწლის წინა ღამეს ყმაწვილი კაცი ბენელი, რომელიც თავის საწოლზე ტანს იხდიდა და ტან-საცმელს გაბრაზებული აქეთ-იქით ისროდა; საცოდავმა თითონ არ იცოდა რას ჩადიოდა.

— რას მოველოდი და რას არ მიქალოდა ცხოვრება; ვინ მოთვლის-რა არ დამპირდა სოფელმა, მერმე? შესრულდა დაპირებული? მს ჩვენი დრო დაწყველილია, — ჟამი არის სიცრუის, ფარისევლობის და მატყუერობის.

ამ სიტყვების შემდეგ ბენელი, სასო წარკვეთილი დაცა საწოლში. ის იყო საბანში უნდა გახვეულიყო, დავეიწუა ყოველივე მწუხარე ფიქრები, უცბად გაშალა ხელები. საბანზე დანახა მნათობი სიმგვრლე, რაშიდაც იღვა პატარა თითის ტოლა რაღაც არსება. მს არსება თავისი ჭკვიანური და ბრწინვალე თვალებით დაცინვით შესცქეროდა ახალგაზდა ყმაწვილს.

ბასაოცარი თვალები ჰქონდა ამ არსებას: ხან მწვანეთ, ხან ცისფრათ, ხან წითლათ, ხან შავად და ხან მიხაკის ფრათ ეღვარებდენ. შეცრად ეს გასაკვირვალი მოჩვენება შეიცვალა დაპრანჭულ ბებერ ქალათ. მერმე დაღმეკილი ბებერი ისევ გარდიქცა პატარა ღამაზ არსებათ.

შეშინდა ჩვენი ბენელი და შესძახა მოჩვენებას:

— მინ ხარ?

— მე... სიცრუე გახლავარ, — ღიმილით უპასუხა მოჩვენებამ.

— სიცრუე! — გაოცებით წარმოსთქვა ბენელმა და ამ დროს წამოიწია საწოლიდგან, მოდი გაგსრისო და მით გავანთავისუფლო ქვეყანა შენი მანქანებისაგან! ბენელი ბერს სცილობდა დაეჭირა სიცრუე, მაგრამ ვერა გზით ახერხებდა ამას: წაველებდა რა ხელს პატარა ფიგურას, იმ წამს ხელიდგან გაუსხლტებოდა.

— ასე ადვილი დასაქევი არ არის სიცრუე, ღიმილით სთქვა პატარა არსებამ. რისთვის გინდა რომ დამიჭირო და მოაკლო ქვეყანას უჭვირფასესი მეგობარი?

— უჭვირფასესი მეგობარი!?

— ღიად, არავის არ შეუძლია ცხოვრება უჩემოთ.

— როგორ? რა ნაირად?

— სიცრუეე კი ვარ, მაგრამ ამას მართალს გეუბნები. ნუ თუ ფიქრობ — უჩემოდ ერთი დღე გასძლო.

— შემძლია, არა თუ ერთი დღე, მთელი ჩემი სიცოცხლე კმაყოფილობით გავატარო უშენოთ.

— აბა სცადე. ხელიდამ მოგშორდები. ბაჭირებაში ერთჯერაც არ მოგხედამ; ხეალ საღამოს კი მოვალ შევიტყო — გეჭვირება ჩემი თავი თუ არა.

— მერწმუნე უპასუხოთ დარჩები, სასიზღარო არსებავ! ამ სიტყვებზე ბენელმა ხელი მოუქნია სიცრუეს, სიცრუემ მუშტი აიცილია და კრავატის ქვეშ შეძვრა.

— მშვიდობით ხელამდი, ქვეიდამ ამოსძახა სიცრუემ.

— მნახოთ! მიუგო ბენელმა და ძილს თავი მისცა

* *

— მომილოცამს ახალი წელიწადი, ბატონო! მისურვებ თქვენთვის ყოველივე ბედნიერებას. ღმერთმა ორივე დიდხანს გეცოცხლოს ამ სიტყვებით მეორე დღეს მიულოცა მზარეულმა ქალმა ბენელს დღესასწაული.

— მე მე სრულიად არა მსურს, — წაიბუტბუტა ბენელმა, იწმენდა თვალებს და ვერ მოისაზრა, ამ დროს, რომ სიცრუე წაქცა, — რაც მალე მოვრჩები ამ ცრუ ქვეყანას, ჩემთვის სასიხარულო იქნება, და აღარ შევხედამ შენ დაქმუქნულ სახეს, რომელიც მაგონებს მჯაფე კიტრს!

— ჩემი სახე გაგონებთ მჯაფე კიტრს! ძრიელ მადლობელი ვარ; იცოდეთ-პატიოსანი ქალი ვარ, და მაგის თქმას არავის ნებას არ მიეცემ!

— ღიად! ღიად! შენმა-მზემ არც ერთ ჯერ მოგიტყუებია! უპასუხა ბენელმა.

— მე მომიტყუებინარ! შევიძლიათ სხვა მზარეული ქალი მოიხატო.

— თქვენ, პატრიარქო ბატონო, საჩუქრის მაგიერათ ახალ წელიწად დღეს ილანძღვით.

ბენელმა გაბრაზებული აიღო წაღები, მზარეული ქალი ამ დროს შეშინებული გავარდა და მიამხნა ბატონს: თქვენ თავს თქვენ ემსახურეთ, მე გშორდებით.

— არ ვიცი, მართლა, რისთვის ავტყებ ჩხუბი, მერმე ამ კულიანთან დღევანდელ ბედნიერ დღეს. ტყვილი კი ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, მაგრამ, სხვა კი ამაზე უკეთესი იქნება? ვნახოთ—როგორ ჩაეცვამ დღეს უიმისოთ, სთქვა ბენელმა და შეუდგა ტანის ჩაცმას. მასწმიდა წაღები, დააკრა პერანგს ფოლაქი, დაიბანა პირი ცივის წყლით, მოსძებნა ხელთათმანი და დაემზადა საეზიტოთ.

— ჯერ ბიძია უნდა ენახო, ის დაჩვეულია ჩემგნით აღრე მილოცვას. მხლა არ უნდა ვაწყენინო, ავად არის და შეიძლება მალეც მოჰკვდეს, ჰვიქრობდა ბენელი.

* * *

— მომილოცვამს ახალი წელიწადი, ბიძიავ, მომილოცვამს! წარმოსთქვა მან როცა შევიდა ბიძიას ოთახში. იმ დროს ბიძია იჯდა საეარძელში, მწარედ შეწუხებული ნიკრისის ქარებიდგან. მან იცოდა ბიძიას არ იამებოდა—ეინც ავადმყოფობაზე დაუწყებდა ლაპარაკს. ამისთვის იმას უნდა ეთქვა, მოხარული ვარ, რომ გხვდამ ვერე კარგათ, მაგრამ ენა აებნა და უთხრა: მოხარული ვარ რომ თქვენ ავთ ხართ, იავადმყოფეთ, იავადმყოფეთ და ნუ შემაწუხებთ თქვენი მორჩენით.

ბიძიამ შეკმუხნა სახე, ის არ მოელოდა ამ გვარ მოულოდინებელ მილოცვას.

— შენ ვგონებ შესცდი, ძვირფასო ძმისწულო! შენ შენს ფიქრზე არა ხარ, თუ მართლა გსურს შენი მოხუცებული ბიძიას სიკვდილი, რომელიც შენთვის თავდადებულია!

— მსურს მალე თქვენი მემკვიდრეობა, უძვირფასესო ჩემო ბიძიავ, წაიბუტბუტა ბენელმა, რომელიც იწმენდა ცივ ოფლს შუბლზე, — იცით თქვენ როგორ ძვირფასი იყავით ჩემთვის; ამ სიტყვებზე კიდევ აიბნა, მაგრამ განავრძო, — თუმცა ყოველთვის მადრიელი ვიყავი თქვენი, მაინც მსურს მემკვიდრეობის მიღება — ხომ კაცი სამუდამოდ ვერ იცოცხლებს,

მემკვიდრეობა კი თქვენი ჩემთვის ძრიელ სასარგებლოთ დარჩება.

— ძმარა! ბამეცალე! იქნება ღვინო გალაპარაკებს! თუ მართლა გსურს ჩემი სიკვდილი, ჩემთვის სულ ერთია, ჩვენ შორის არავითარი ერთობა აღარ იქნება ამის შემდეგ. უცადე ჩემს სიკვდილს, შენ ჩემგან ერთ გროშსაც არ მიიღებ. მხლა გამეცალე აქედგან, თუ არა, უბძანებ ძალათ გავაგდონ.

როცა ქუჩაზე გამოვიდა, ბენელმა წაიშინა თავში ხელები.

— რა უბედურება შემემთხვა, რაები ებოღდე და უსიამოვნება მივაყენე ბიძიას! მთელი წელიწადი ეცდილობდი თავი შემეყვარებინა, ეს რა მომივიდა! მგონებ აქ რომ კვდელი იყო თავი ენახლო!

ამ დროს დაეჯახა კვდელს კი არა პირ-და-პირ მომავალ კაცს, რომელიც თავი ჩაღუნული მოდიოდა.

— როგორ დაუფიქრებლად მიეხეტები, შეწყვიტ რა ამ კაცმა. — მშმაკმა იცის, უთხრა ბენელმა, მაგრამ იმ წამსვე შეცვალა ხმა, როცა იცნო თავის მოვალე. ახ!.. ბატონო, ბე! ძრიელ მოხა... მაგრამ ენა აებნა და ბენელმა უთხრა: ძრიელ მეწინა თქვენი შეხვედრა.

ბემ ძალ დატანებით გაიღიმა და უთხრა: მიხარის, რომ ხუმრობის გუნებაზედ ხართ! როგორც გხვდამთ ბიძიადგან მოდინხართ. ძრიელ კარგი მოხუცია! როგორ არის თქვენი მემკვიდრეობის საქმე?

ბროშსაც არ მიტოვებს, წარმოსთქვა სურვილის წინააღმდეგ ბენელმა.

— არაფერს გიტოვებს! არ შეიძლება, თქვენი ხუმრობით!

— ხუმრობისთვის არა მცალია. მს არის ენლა ვიყავი იმასთან.

— მაშ იფიქრეთ კარგათ რას გეტყვით: ერთი კვირის შემდეგ უნდა ჩამაბაროთ ჩემი ფულები, თუ არა გიჩივლებთ. შესმით თუ არა?

— მგლა მაკლდა! წამოსთქვა ბენელმა და შეუდგა გზას.

თავის უფროსი შინ არ დახვდა, მან ეს გარემოება ჩასთვალა მოულოდნელ ბედნიერებად, რადგანაც ელოდა კიდევ ახალ უსიამოვნებას. მასტოვა თავის კარტოჩკა და ცოტათი დამშვიდდა. — რას ნიშნავს ბიძია, მოვალე და მზარეული ქალი? ჰვიქრობდა — როცა ყიდულობდა მაღაზიაში საუკეთესო ყვავილების თაიგულს, თავის საცოლოხთვის. ის იყო დაპატივებული სადილათ თავის საცოლოხს დეიდასთან. როცა იყიდა თაიგული, შეუდგა გზას და გადაწყვიტა ენისთვის თავისუფლება არ მიეცა. საცოლოხს შეხვდა სიყვარულით და მასთან ლაპარაკს გადაჩნა

მშვიდობიანათ, მაგრამ როცა დეიდას ემუსაიფებოდა, ვერ ახერხებდა ლაპარაკს იმ გვარ სიყვარულის ხმით, როგორც უწინ; ალერსიანი სიტყვები უჩერდებოდა ყელში და შეშინებული ამტენ უსიამოვნებისაგან დაიწყო ყოვლად უმნიშვნელო მუსაიფი.

მაგრამ ბოროტი ბედი მიიწვ არ ასცილდა სადილის ბოლოს დეიდამ ასწია ამ სიტყვებით სტაქანი და მიუბრუნდა ბენელს: ახ, რა კარგი იქნებოდა, წელიწადები გადაოდეს და ჩვენზე არ სტოვებდეს ნიშნებს, ბენელმა ვერ შეიმაგრა თავი და წამოიძახა:

— თქვენ, ძვირფასო დეიდავ, არ უნდა ესაყვედურებოდეთ წელიწადებს, თქვენ თან-და-თან ბერდებით; ახალგაზღვრებით უნდა ეთქვა, მაგრამ წამოსცდა «ბერდებით».

დეიდა სცილობდა დაემალა უკმაყოფილება ღიმილის ქვეშ და ჰკითხა: რამდენი წლისა გგონივართ მე?

— ორმოცდა—ათის მეტი არ იქნებოთ; აქაც ოცდა—ათის მაგიერად წაქცა ორმოცდა—ათი.

დეიდას აუტყდა ხველება, რომლის მიზეზით გავიდა ოთახიდან. ბუღ მოსული მობრუნდა დისწული, ბენელის საცოლო, დეიდას ოთახიდან.

— რას ნიშნამა დეიდას წყენა არ მესმის, მერმე დღევანდელ დღეს?

— მე თვითონ არ ვიცი—მიუგო ბენელმა— ორმოცდა—ათის წლის არ იქნება თუ?

— რასაკვირველია მეტისაც არის, მაგრამ თქმა რა საჭიროა. ის თავის დღეშიაც არ მოგიტყევებს ამას შენ.

— ნეტავი შენ არ გაწყენინებდე და დაემისახურებდე შენს სიყვარულს, ჩემო კარგო, დეიდა მალე მოგიტყევებს; ბენელი ამ სიტყვებით ცდილობდა დაემშვიდებოდა საცოლო, მაგრამ აქაც მალე ბედმა უმტყუნა.

— ნეტავი ვიცოდე—გაწყვეტინა საცოლომ სიტყვა—მართლა მე ვარ პირველი შენი სიყვარული, როგორც ხშირად გითქვამს, მითხარი მართალი! შენ ჩემს წინეთ არავეისთვის გაგიმცხადებია სიყვარული?

ბენელს ჟრუანტელმა გაუარა ტანში და ცდილობდა როგორმე აეცდინა პასუხი; უფრო მომეტებულიათ დაუწყო ქალს ალერსი, მაგრამ ქალი არ ეშვებოდა.

— ჯერ კითხვაზე უნდა მიპასუხო; ვინ იყო პირველი, რომელსაც განუტყდა სიყვარული?

ბენელი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, არ იცოდა რა მოეხერხებინა.

— პირველი როგორც მე მახსოვს .. ღია! მე

არ ვცდები, გაიქიმა გენელი, დღეს არ ჰქონდა მას ნება სიმართლეს გადადგომოდა.

— იყო ქალი პოლკოვნიკისა, პატარა მერი. როცა ის დადიოდა საცოლოში, მე უცდიდი იმას გზაზე, რომ მეთქვა იმისთვის ერთი ორი სიტყვა, ან გადამეცა წერილი.

— ის იყო პირველი—უთხრა ხმის გაგძვლებით საცოლომ—მამე მერე ვინა იყო?

მეორე! მეორე!—გენელი ბრუნამდა როგორც ბზრილა—მეორეს მე გავეცანი ტანცაობის გაკვეთილზე, ის იყო ლიზა, ქერა და...

— მერმე?

— მერმე! ლამაზი მოსამსახურე ქალი, რომლის ღიმილი მომწონდა მე.

— შემდეგ?

შემდეგ ქალი სახლის პატრონისა.

შემდეგ კიდევ?

— მერმე ლამაზი აქტრისა.

— აქტრისის მერმე?

— მერმე შენ, ჩემო საყვარელო!—ღრმით ამოიოხრა, მიიწია და უნდა ეკოცნა ხელზე.

ძალი ადგა გაბრაზებული.

— მე ხუმრობთ თუ მართლს ამბობთ! თქვენ ყველას ეფიცებოდით სიყვარულზე?

შველა ამ ქალებს მე შეეფიცე სიყვარულზე გაქირვებით—გაიმეორა გენელმა.

— თქვენ ამის შემდეგ კიდევ ბედეთ შეეხოთ ჩემს ხელებს! გამეცალეთ და არ იფიქროთ მეორეჯელ დამენახოთ!

გენელს მეტი გზა აღარ ჰქონდა, უნდა წასულიყო.

ნახევარი საათის შემდეგ, მწარეთ შეწუხებული იჯდა ყავახანაში, ხელოში ეკავა გაზეთი და სრულიათაც არ კითხულობდა.

მემკვიდრეობა, ნდობა, ქორწინება—ყოველივე გაქრა? ამის შემდეგ ღირს კიდევ სიცოცხლე!!!

— მომილოცამს ახალი წელიწადი, ჩემო ძვირფასო ახალგაზდა მეგობარო! შტბათ გაიგონა გენელმა, იმის წინ იდგა განთქმული ტეატრის რეცენზენტი ლონი.—მე მოგიტანე შენ სასიამოვნო ამბავი: წავეითებ შენი თხუზულება, რომელიც გამომიგზავნეთ გადასათვარიელებლად. დაწერილია კარგათ: მშვენიერი ენით, ცოცხალი სიტყვებით, ერთი სიტყვით ყოველივე ღირსება ნაწერში; უნდა გავაცნო საზოგადოებას იმის ღირსება სცენაზე.

გენელი შესტკეროდა მის წინ მდგომ მოამბეს, როგორც დამნაშავე სამართლის წინაშე. შემდეგ მო-

ვიდა გონს. მუ გამოიხსნიდა ვინმე მას უბედურებისაგან, ისევე ლონი. მუ ჩემს თხზულებას წარმოადგენენ და მოეწონებათ, არ ვიქნები ერთიანათ დალუპული. როცა ჩემი სახელი გაითქმება უსათუოდ საცოლო უარს არ მეტყვის, ფულის ანგარიშიც გამისწორდება და დაუმტკიცებ ბიძას, რომ მე იმის სიკვდილი არა მსურს.

— მგონებ კიდევ შეგვიძლია დავიწყოთ რებეტიციები მომავალ კვირას, ასე რომ ამ ზამთარში თამამათ შეგვიძლია წარმოვადგინოთ. მართლა—თქვენ მიიღეთ ჩემი დაწერილი ლექსი? გკონდათ დრო თუ არა რომ გადაგეთვარიელებინათ? ღიად! ღიად! ღიად! ღიად! გრძობდა, რომ უახლოვდებოდა ხელახლავ გაპირების წამი, მომიტყვევო, მეტი არ შემიძლია დავრჩე თქვენთან, მე მიცდიან...

— მანშიზიარეთ ერთი წამი.— ლონმა წაველო გენელს ხელი.

მითხარით თქვენი აზრი, როგორც გრძობთ. მე სიმართლე არ მეწყინება. რას ფიქრობთ ჩემს ლექსზე?

გენელმა ველარ უწინააღმდეგა ბედს.

მე ფიქრობ თქვენი ლექსი ყველა ლექსებზედ სუსტია, რაც წამიკითხავს. არ მესმის თქვენისთანა კჳუა გახსნილმა კაცმა როგორ დაკარგეთ დრო ამისთანა უაზრო ლექსზე.

— ნულარ შესწუხდებით თქმისათვის, ძვირფასო შეგობარო! თქვენი შენიშვნა გულ-მწვაფია. იქნება მომეტებული სასტიკიც იყოს, სიმართლე არ მეწყინება, მაღლობელი ვარ. აი კიდევ რა უნდა მოგახსენოთ: ამ ზამთარში ველარ მოასწორობ შენი თხზულების წარმოდგენას—რადგანაც მეტის მეტი სერიოზულია: საზოგადოებას უფრო მზიარული მოსწონთ. იქნება გადასწოროთ, და ერთი ანუ ორი წლის შემდეგ შეიძლება წარმოვადგინოთ.

ამ სიტყვებით რეცენზენტი მოშორდა.

ახლა ეს ახალი დარდი,—სთქვა გენელმა, საჩქაროდ გამოვიდა ყავახანიდამ და წავიდა სახლში. როცა შევიდა თავის ბნელს ციხს და მიუღაგებელ ოთახში, ტანჯაკული დაცა კრავატზე, ასე რომ კრავატმა რყევა დაიწყო.

გენელი წამოხტა. მს რა ამბავია? შანჯარაში იკუტიტბოდა დილის სხივები. იმის კრავატთან იღვა მოხუცებული მზარეული ქალი; მილოცვით მიაწოდა იმას ერთი ფინჯანი ცხელი ყავა.

— ბედნიერათ გაგატარებინათ ეს წელიწადი. მისურებებ, რომ დიდხანს, დიდხანს გვეცოცხლოს ერთათ.

გენელი წამოხტა ფეხზე. რას ამბობთ? დღეს ახალი წელიწადია?

— ღიად, მაშ რა არის? ახალი წელიწადია. გუშინ საღამოს აქეთ კარგათ გეძინათ?

გენელი მივიდა ფანჯარასთან. ქუჩაზე მიდიოდნენ სხვა-და-სხვა ჩაცმული ხალხი, ისმოდა ზარების რეკა, ჭიშკართან იღვა სახლის პატრონი, მზიარულად თავს უკრავდენ და ულოცამდენ.

— ღღეს მართლა ახალი წელიწადია.

— გენელი გახარებული მოხევია მოხუცებულ ქალს და აკოცა მოკმუხუნულ ლოყაზე.

— ახალი წელიწადია! ჰოველივე ისეც იმ მდგომარეობაშია! მემკვიდრეობა! საცოლო! მე არავისთვინ არ მიწყენინებია! აი ახლანდელი დრო! სიმართლეზე ფრთხილათ უნდა ვიყოთ, თორემ ღუბავს ადამიანს. მაშ რა დიდი ბედნიერი ვარ სიზმარი რომ გამოდგა. ამის შემდეგ ძირეღ გმადლობ, ჩემო ძვირფასო პატარა სიტყუე! უშენოთ ძნელი შექმნილა ცხოვრება.

მ:რან ბაღახანოვას.

შეშლილი სიყვარულისაგან *)

დრამა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამისი და ბაუსისა

სცენა IV

აღდარა მარტო, მერე მეფე.

აღდარა. ამანაც ასე—უნდა დამტოვოს? ხელო მიდის იგი! ღიახ, დრო არის ამაყმა ქრისტიანმა დაამციროს თვისი მონა!.. ოტა ხანს ვფიქრობდი ის დედოფალი იქნება მეთქი... მს შესაძლებელი არ არის. მაგრამ რატომაც არა? ის რომ რაღაც განსაკუთრებითი აღტაცებით სულ იმაზე ლაპარაკობდა... მს რომ იმ გვარი სიყვარული არ იყვეს, როგორსაც ხელქვეითი გრძობას თვის დედოფლისადმი? როგორ გავიგო ეს? ამ კაცს დედოფალი რომ უყვარდეს კიდევ, დედოფალი რომ თავყანას სცემს თავის ქმარს?.. მაგრამ განა არ შეიძლება მთელს ქვეყანას სცემდეს თავყანას... მე მზათა ვარ ვაპატოო ამას, თუ მე არ უყვარებარ, მაგრამ თუ ამას სხვა უყვარს, ამას კი ვერ დავთმობ. მინ არის მანდ? (მივა კიბესთან).

*) იხილე „თეატრი“ № 8.

მეფე. (შემოდის შუა კარებიდან და აჩერებს ალ-
დარას) რისთვის მირბიხართ, მშვენიერო ალდარა?

ალდარა. თავი დამანებეთ.

მეფე. მეფეცები ღმერთს, რომ თქვენისთანა მე-
დიდური სოფელი მშვენიერი ქალი არ მინახამს.

ალდარა. მა მე თქვენისთანა თავ-ხედი რაინდი.

მეფე. თქვენ მე თავხედს მეძახით?

ალდარა. ღიახ, თავხედობა იმისი ღენა, ვისაც
არა სურს გიპასუხოთ რამეში.

მეფე. სკაპილიონის პატრონის ბიძაშვილი რო-
გორც პრინცესა ისე ამაყობს.

ალდარა. მე უფრო პრინცესა ვარ, მინამ სკაპი-
ლიონის პატრონის ბიძაშვილი.

მეფე. როგორ!

ალდარა. ზაიგეთ სიმართლე, მე არა მსურს დე-
მალა, მე სკაპიონის პატრონის ბიძაშვილი არ გან-
ლავარ.

მეფე. უცნაურ საიდუმლობას მიაშკარავეთ,
სინიორა. მე წინათვე სამართლიანად ვიყავი მიხვედ-
რილი, რომ თქვენი წოდება გამოგონილი წოდება
იყო. მე უფრო კარგი! მა მეც არა ვარ საწყალი
გიდალგო, როგორცა თქვენა ჰფიქრობთ, მე...

ალდარა. თქვენ ვილა ბძანდებით?

მეფე. მე—შლამანდის შესანიშნავი გვარის ჩა-
მამაული ვარ.

ალდარა. (განზე) ამას ჩემი შველა შეუძლიან.

მეფე. მას აქეთ—რაც ჩემმა ბედის ვარსკვლავმა
მამიყვანა ამ სასტუმროში, თქვენი ნახვა საჭიროებად
გადამექცა. თქვენმა სილამაზემ ისრე ძრიელ იმოქმე-
და ჩემზე—რომ მისი გავლენისაგან თავის დახსნა შე-
უძლებელ საქმეთ გადამექცა. ჩემი გული გეკუთვნით
თქვენ; თქვენი ბაგიდგან წამონადენი ალერსიანი სიტყ-
ვისთვის მე მოგცემ სიმღერასაც და ჩემს უფლებათა;
მოგცემ ჩემს სიცოცხლეს! ზახსომდეთ: ხელ მე ბურ-
გოსში მივდივარ...

ალდარა. მით ღიდებულებასთან ერთად?

მეფე. ღიახ! წამოდით თქვენც ჩემთან და საჩუქ-
რად რაც გენებოთ ისა მთხოვეთ. ჰოველ გვარ თქვენ
სურვილს მე დავაკმაყოფილებ.

ალდარა. რამოდენად ღიდი არის თქვენი უფ-
ლება?

მეფე. ის თანასწორია ჩემს სურვილთან.

ალდარა. თქვენ მეფის მეგობარი ბძანდებით?

მეფე. მეგობარზე უფრო მეტი.

ალდარა. მისი დახლოებული ბძანდებით ხომ?

მეფე. თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ—რომ მე და
მეფე ერთი და იგივე ვართ.

ალდარა. მე რომ მომენდობა—სასახლეში არ
მიმიღებდენ?

მეფე. თქვენ იქნებოდით სასახლის მანდილოს-
ნად.

ალდარა. როგორ? ჩემი შესანიშნავი ჩამამაგლო-
ბის გამოუაშკარებლად?

მეფე. თქვენ ხომ სკაპიონის პატრონის ბიძაშვი-
ლის სახელითა სცხოვრობდით. უფრო ადვილი არ
არის რომელიმე გრაფის, ან მირკიზის ნათესავი დაირ-
ქოთ.

ალდარა. თქვენთვის ხომ მადლობისათვის საკ-
მარისი იქნება მე მნახოთ ხოლმე?

მეფე. ღიახ!..

ალდარა. მე მინდა მოვიფიქრო...

მეფე. თქვენ ნუ გავიწყდებად—რომ ხელ უნდა
გავიდეთ აქედან.

ალდარა. პასუხს მოგცემთ.

მეფე. არა, არა, ჩემო ბედნიერებაე, საჭიროა
ეხლავე გადასწყვიტო ამ სასტუმროს ახლო ტახტ-
რეწენები გვიცდის ერთგული კაცებით; თქვენ ამა-
ლამე უნდა გზას გაუდგეთ.

ალდარა. მაშ ყველაფერი მზად არის?

მეფე. ყველაფერი.

ალდარა. იქნება ჩემს ძალად წაყენას ლამობ-
დით!

მეფე. შეიძლება.

ალდარა. (მოშორდება) და იქნება მთელს ჩემს
სიცოცხლეში არ წავიდე ბურგოსში?

მეფე. (ადილობს მის დაკავებას) როგორ, თქვენ
მიხვალთ?

ალდარა. (მიდის) მე თქვენ ხომ გითხარით—უნ-
და მოვიფიქრო მეტი.

მეფე. (უკან მისდევს) სინიორა!

ალდარა. იქონიეთ მოთმინება. (კიბეზე მიდის
და თავის ოთახში შვეა).

სცენა V

მეფე, მერე სკაპიონის პატრონი, დედოფალი და
ღონა ქლირა.

მეფე. როგორც მეგონა, საქმე უფრო უკეთე-
სად მიდის. მე ბევრჯელ მიფიქრია, რომ მიყვარს;
ეხლა კი ვფიცამ სიცოცხლეს—რომ მიყვარს იგი, მის-
მა მიუხლომელმა ყოფა-ქცევამ, შეუპოვარმა უარის

თქვამ, მისმა ჩემდამი სიძულეარემ, რომელსაც მე დაჩვეული არა ვარ, უფრო უარესად გააძლიერეს ჩემს გულში ისეც გაძლიერებული ცეცხლი. მაგრამ მოვიგებ მის გულსაც. (სტოლს ხელს დაჰკრავს) შენ, ეი, სკაპიონის პატრონო...

სკაპიონის პატრონი. (შევა შუა კარებში) რას მიბძანებთ?

ქეფე. მოდი აქ, ვერაგო, ბატ. სკაპიონის პატრონო—მატყუარავ, ბატ. ტყუილად დარქმული ბიძავ.

სკაპიონის პატრონი. რა ვნებავთ?

ქეფე. მე შენ გეუბნები, რომ შენი ნათესავები — ისეთივე ნათესაობაა, როგორც შენი კურდღლები, რომელსაც მთავრად ხოლმე შენ სტუმრებს.

სკაპიონის პატრონი. შეიტყუე კიდეც?

ქეფე. ჰველაფერი შეტყობილი მაქვს. დამიგდე ყური რას გეუბნები.

სკაპიონის პატრონი. ბატონი ბძანდებით.

ქეფე. მინა გყვანან ამ სასტუმროში?

სკაპიონის პატრონი. რამდენიმე მღვეარნი...

ქეფე. მხლა რას აკეთებენ აქ?

სკაპიონის პატრონი. ჰველანი ერთად ჰერეხებივითა ყრიან.

ქეფე. ძარგი. სხვა კიდეც ვინ არის?

სკაპიონის პატრონი. ძიდეც კაპიტანი, ღონალვარი დე-მსტურია.

ქეფე. მს ის ხომ არ არის, რომელზედაც ამბობენ, რომ ავად არისო?

სკაპიონის პატრონი. ღიხ, ის არის.

ქეფე. (თავისთვის) მე ვე ვერაფერს დამიშლის.

სკაპიონის პატრონი. ძიდეც რა გინდათ მკითხვით?

ქეფე. ზამოკითხვა კმარა, ეხლა უნდა გიბძანო.

სკაპიონის პატრონი. მოვისმენ თქვენ ბძანებასაც.

ქეფე. პირველად — სუყველგან სანთელი უნდა გააქრო.

სკაპიონის პატრონი. ღა მერე — ბნელაში რა უნდა გავაკეთოთ?

ქეფე. თუ ბრუციანი არა ხარ, ამასაც დანახავ.

სკაპიონის პატრონი. პასუხი მომწონს.

ქეფე. მოგწონს, თუ არ მოგწონს — ვე სულ ერთია ჩემთვის. შენ, დამიგდე ყური.

სკაპიონის პატრონი. მერე?

ქეფე. მერე სუყველა აქ მყოფთ კარები დაუკმე.

სკაპიონის პატრონი. ღღეს თქვენ მხიარულადა ხართ, აი!

ქეფე. ამ კარებს კი ნუ დაჰკეტავ (უჩვენებს შუა კარებზე) მე მალე დაებრუნდები მასკით მოკაზმული ოთხი კაცით.

სკაპიონის პატრონი. აი, აი! მს კაცი ჰკუთხე შეშლილა.

ქეფე. მე რომ დაებრუნდები, შენს ბიძაშვილს ჰქალს მოვიტაცებ.

სკაპიონის პატრონი. ამისთანა გულწრფელს კაცსაც არ შევხვედრივარ. ამის განძახებდგანა სხანს, რომ ეს შლამანდიელია! იმისთვის რომ ჩვენი მეფე ჰარიანია, განა სუყველას გვიქრის ქარი. ან ხომ არ გინდათ დაუძახო ბიქს და კისტის კვით სასტუმროდგან გავიძახო.

ქეფე. მრთი კიდეც დამრჩა სათქმელი.

სკაპიონის პატრონი. ძიდეც რა სათქმელი აქვს თქვენ მოწყალებას.

ქეფე. როგორც შენ, ისევე მეც არა ვარ ის, ვინც შენა გგონივარ.

სკაპიონის პატრონი. მინა ბძანდები, ბატონო! მინმე თვალთ-მაქცი რაინდი.

ქეფე. მე ქეფე ვარ.

სკაპიონის პატრონი. ღმერთო ჩემო! მეფე!

ქეფე. თუ ჩემს ბძანებას დაუყონებლივ არ აასრულებ, ხვალეც ჩამოხრჩობილი იქნები.

სკაპიონის პატრონი. ბატონო... მე... თქვენო ღიდებულეზავ...

ქეფე. ჰველაფერი მითქმას.

სკაპიონის პატრონი. (თავისთვის) მგონია კმარა კიდეც! (ღედოფალი და მღვირა გამოჩნდებიან კარებში იმ დროს, როდესაც მეფეს უნდოდა გასვლა. მღვირე მანტილით არიან.)

ღედოფალი. (თავისთვის) ა!

ქეფე. შკაცრავად (ისეც ბრუნდება. სკაპიონის პატრონს) იცოდე, მე აქედგან მოშორებით მომეცი ოთახი. (თავისთვის) საქმე კარგად მიღის. (ზავა შუა კარებში).

სცენა VI

ღედოფალი, ღონა მღვირა და სკაპიონის პატრონი.

ღედოფალი. წავიდა მეფე. ჩვენ დავიგვიანეთ.

სკაპიონის პატრონი. რა ხებრულად ველაპარაკე მეფეს! (გავა დაფიქრებული ავანს სცენაზე) ვინ იფიქ-

რებდა!.. დეე მოიტაცოს ის! ლმერთმა გზა მშვიდობისა მიანიჭოს!

დედოფალი. მინ უნდა მოიტაცონ?

სკანდინავის ჰატრონი. ბაჩუმდით, თუ ჩემი სიტყვები გაიგონეთ. მე ისე წამამცლა.

დედოფალი. იმ რაინდმა ვინ უნდა მოიტაცოს?

სკანდინავის ჰატრონი. არაინა.

დედოფალი. შენ ამბობდი...

სკანდინავის ჰატრონი. მე არა მითქვამს რა. პნ რა გვარი ცნობის მოყვარობაა?.. მნებათ ოთახი?— მიირთვით.

დედოფალი. გეფიცები ლმერთს! მიპასუხე რაზედაც გელაპარაკებია.

სკანდინავის ჰატრონი. თქვენ ფიცულობთ! ღა მეც დავიფიცე ლმერთს—რომ მე თქვენთვის ოთახი არა მაქვს, მიბძანდით საიდგანაც მობძანებულხართ.

დედოფალი. ის რაინდი ამაღამე დაბრუნდება?

სკანდინავის ჰატრონი. ღა მერე თქვენ რა გნებათ?—იმისი ცოლი ხომ არა ბძანდებთ?

დედოფალი. ღიან.

სკანდინავის ჰატრონი. იმისი ცოლი ხარ? ხა, ხა, ხა! ეჯიან. ღირსეულად მეექვსე ამ მანდილოსანს.

სკანდინავის ჰატრონი. მთ ეს იმ ბატონის ცოლია, მაშ ესა ყოფილა არც მეტი, არც ნაკლები. (თავისთვის) სს!..

დედოფალი. შენ იცი ვინც არის ის რაინდი?

სკანდინავის ჰატრონი. მგონია უფრო უკეთესად, მინამ თქვენ.

დედოფალი. შენ იცი რომ ის მეფეა?

სკანდინავის ჰატრონი. როგორ!.. თქვენ?..

დედოფალი. მე ხომ გითხარი—რომ მისი მეუღლე ვარ მეტი.

სკანდინავის ჰატრონი. როგორ?

დედოფალი. უბედურო! უპასუხე დედოფალს...

სკანდინავის ჰატრონი. დედოფალი!.. წმინდაო მფარველო!

დედოფალი. შენ მეფემ რა გითხრა?

სკანდინავის ჰატრონი. იმან მე მითხრა... იმან მე მითხრა...

დედოფალი. რა გითხრა? დაასრულე!

სკანდინავის ჰატრონი. მე გულისთა მსურდა... მაგრამ არის დაბრკოლება... თქვენო დიდებულებავ, მაპატიეთ... პი რა... მე თავის დღეში დედოფალთან არ მილაპარაკებია.

დედოფალი. დედოფალი ისეთივე დედა-კაცია, როგორც სუყველანი და ბოდის ტყუილად იხდი. აბა თქვი ჩქარა.

სკანდინავის ჰატრონი. რომა ვთქვა, მეფე ჩამოხრჩობინებს ჩემს თავს.

დედოფალი. ღა თუ არ იტყვი, დედოფალი ამაღამე უბძანებს შენს ჩამოხრჩობას.

სკანდინავის ჰატრონი. როგორ,—თქვენც ინებებთ ჩემს ჩამოხრჩობას?

დედოფალი. ამოირჩიე!

სკანდინავის ჰატრონი. მევე ამოვირჩიო ჩემი ჩამოხრჩობა?

დედოფალი. მეფეები პატიოსნებას არაფერი დაგიშვებდებარა, თუ რომ მეტყვი ამ საიდუმლოს.

სკანდინავის ჰატრონი. ნამდვილად? მაშ აღარ ჩამამხრჩობთ? მიბოძეთ ნება ფეხებზე გეამბოროთ.

დედოფალი. მთ კიდევ მოთმინებიდგან გამომიყვან, უარს ეყოფ ჩემს დაპირებას.

სკანდინავის ჰატრონი. ძარგი სენიორა. პქ, სასტუმროში, სცხოვრებს ერთი ქალი. ძალიან ღამაზია, სახელად აღდარა ჰქვია.

დედოფალი. ბავგრძელეთ.

სკანდინავის ჰატრონი. მეფე... რაც იყვეს, იყვეს... მეფე, როგორც თქვენმა დიდებულებამაც ბძანა ისეთივე კაცია, როგორც სხვები. მერე... მტერი მძღაფრია... მსეა ყოველთვის... ბანძია სწორეთ, განძია ის ქალია...

დედოფალი. მერე?

სკანდინავის ჰატრონი. ბოლოს პაწაწინა ცოდო... სიცელქე... სასტიკათ არ უნდა ვსჯიდეთ.

დედოფალი. რა მერე, რა? ეხლა შენ მოტაცებზე ღაპარაკობდი.

სკანდინავის ჰატრონი. ღიან... იმას ამაღამე უბირებს მოტაცებას; მე ყოველივე მომზადებული მაქვს.

დედოფალი. (თავისთვის) ლმერთო ჩემო! ლმერთო ჩემო! (მალა) საღ არის მისი ოთახი?

სკანდინავის ჰატრონი. (უჩვენებს კარებზე, რომელიც კარიდორში გადის) აი პქ არის, სენიორა.

დედოფალი. მთავისუფალი ოთახი ხომ გაქვს?

სკანდინავის ჰატრონი. პი პქვე მშვენიერი ოთახი გახლავთ (მარჯვენა კარებზე უჩვენებს).

დედოფალი. ძარგი და წადი მეფესთან მოვიდეს მის მოსატაცებლად.

სკანდინავის ჰატრონი. (მდის და ისევე ბრუნდება). მითმა დიდებულემ მიბძანა სანთელი ყველგან გააქვითო, თუ ის სინათლეს დაინახავს, იფიქრებს რომ...

დედოფალი. ის სინათლეს ვერ შენიშნავს, (სკანდინავის ჰატრონი წაეა და კიდევ დაბრუნდება).

სკანონის სტრუქტურა. (დაჩოქებს დედოფლის წინ) გენაცვალე, დედოფლო, ხომ არ ჩამომახრჩობენ?

დედაფალი. აღარა, თუ ჩემს ბძანებას შეასრულებ.

სკანონის სტრუქტურა. მე მივდივარ (თავისთვის) დიდი ბედნიერებაა ემსახურებოდე მეფეებს, მაგრამ უფრო კი კარგი იქნებოდა იმათ თავის დღეში არ შეჭხედებოდე.

ს. ნ.—თ.—ქსა.

(გაგრძელება იქნება)

რომ მათ გვახვეწონ ავ-კრგი, მუდმისი გასაჭირია; გვითხრან: იშრომეთ, ისწავლეთ. ნუ დაგიღიათ შირია.

სწავლას და გამოცდილებას კარგა დაუგდეთ უფრია; გინტ უღალატოს, ვაი მას. იუკეს ღვთისაგან კრული!

ავ-კრგის გამოსასატად, იცოცხლეთ ქვეყნის შინალო, განატყეთ თქვენი სელობა, მნათობო თეატრისა!

ქართული თეატრის ნიჰიერ მოთაბაჰუს ვასილ აბაშიძეს

(ბენეფისზე, 22 თებერვალს 1886 წ.)

დმერთმა ქქნას ჩვენში თეატრებს მაგრად გაეღათ შირია; ჭეჰანდეთ თქვენი გვარი ერთგული, ან აწრიდონ შირია.

თეატრის მუშ.

(Handwritten signature and date)

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატგრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწმბა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს სუთი (5)

მანეთი, სასეკარის წლით—საძი (3) მანეთი. სხვა ვადით სელის მოწერა არ მიადება.


აწმეო 1886 წლიდან აბაქი წმრმთელი დამოუკიდებელ მოხაწილეობას მიადება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა

ო.ოს - მოქმედებიანი ისტორიული დრამა

თხზ. თ. აბ. წამართელისა



რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავილდე ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ზოი შაურა

ს ტ ა მ ზ ა

მელიქიშვილისა.

თფილისში — სასახლის ქუჩა, ანწრუნასეულ ქარ-ფასლან ში, ქართული თეატრის ქუჩა-სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტუმრო საქმეებს საუ-ჭდავთ: გაზრეუბს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-ვე ყოველ-გვარ ბეჭეჭვის, გვიტანს იღებს, სსოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პორტრეტებს და სსუ.

სასუფთავებს და ღინისულ დროსუ საქმის შესრულებასუ სტამბა პირბაზს აძლავს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულბს კარგეგტურის გასწორებას და ბროშურებს გვეტებს, უკეთუ წავასს მომტეში ისურვებენ.

დაბეჭდა და ისეიღება გ. ჩ. რკვიანის მღაზ. სში

რაბიზონ კრუხო

რუსულიდან შემოკლებითი თარ. მარ. ჯაჯანა-შვილისა.

ფასი 10 კაზ.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 1 марта.


სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

სასაი წამართელი

ილია ჭავჭავაძე

ბრ. მრბელიანი



ბრ. მრბელიანი

გიორგი მრისთავი

სემონ მუსხი

ჩინებულ აღექსნდროვის ქაღალდზე და მსატკობა ა. ბერიძისა

ისეიღება გრაჭუნოვის წიგნის მაღაზიაში, ტუკის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში და ი. საჭაროვის ბაკალოვინი მაღაზიაში, არწრუნისეულ ქარვასლაში.

ფინც აოს ან მეტს სურათს გამოაწერს, მ-შან თათო სურათი 16 კაზ. დაეთობა.

გაისხნა ხონში, ფოხტის სტანციის პირ-და-პირ წიგნის მაღაზია წამართელისა,

რომელშიაც ისეიღება ყოველ გვარი ქართული წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები და კანცელარიის ყველა საჭიროებანი. Хонн. Книж-ный магазинъ Церетели.

Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.